თამაშის თავისებურებები აუტისტური სპექტრის აშლილობისა და დაუნის სინდრომის მქონე პირებში

თინათინ ბიწაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული,

ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2016

სარჩევი:

შესავალი.....1

თავი 1. ლიტერატურული მიმოხილვა.....2

1.1 თამაშის როლი ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაში.....3

1.2 თამაშის ფორმები.....4

1.3 თამაში და კოგნიტური განვითარება 7

1.4 აუტიზმი.....8

1.5 დაუნის სინდრომი.....10

1.6 აუტიზმი, დაუნის სინდრომი და თამაში.....13

1.7 კვლევის მიზნები და ამოცანები.....15

კვლევის ჰიპოთეზა.....15

კვლევის მიზნები და ამოცანები.....15

თავი 2. კვლევის მეთოდოლოგია.....16

2.1 შერჩევა.....16

2.2 ინსტრუმენტები და კვლევის განხორციელების პროცედურა.....16

თავი 3. შედეგები.....19

თავი 4. შედეგების ინტერპრეტაცია და დისკუსია.....23

თავი 5. დასკვნები.....26

თავი 6. კვლევის შეზღუდვები.....27

გამოყენებული ლიტერატურა.....27

დანართი.....31

აბსტრაქტი

აუტიზმისა და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა თამაში განსხვავდება ტიპური განვითარების მქონე ბავშვთა თამაშისაგან. საინტერესოა, ერთმანეთთან მიმართებაში, თამაშის თუ რა თავისებურებებით ხასიათდებიან აუტიზმისა და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები. ქვემოთ მოცემულ კვლევაში, ჩვენ ვიკვლიეთ, მსგავსი ფუნქციონირების დონის მქონე, 10 აუტიზმის, 10 დაუნის სინდრომის და 10 ტიპური განვითარების მქონე ბავშვთა თამაშის თავისებურებები, მათ შოროს მსგავსება/განსხვავებები. ბავშვთა შესაფასებლად და ცვლადების გამოყოფის მიზნით გამოვიყენეთ რამდენიმე ინსტრუმენტი და კითხვარი: ბავშვის ვერბალური ქცევის შესაფასებელი ინსრტუმენტი- VB-MAPP, ბავშვის შეფასების ინსტრუმენტი, თამაშის უნარების შესაფასებელი კითხვარი, თამაშის უნარების საკონტროლო სია. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ აუტიზმისა და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა თამაშები განსხვავდებიან ერთმანეთისგან, აუტიზმისა და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა თამაშის თავისებურებები განისაზღვრება მათი დიაგნოზის სპეციფიკიდან და არა ფუნქციონირების დონიდან გამომდინარე.